



აღმოსავლეთის პარტნიორობის  
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის  
საქართველოს ეროვნული პლატფორმა



## მესამე სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი

თარიღი: 29 მაისი, 2013 წელი

დრო: 18:30 – 20:30 საათი

შეხვედრის ადგილი: სასტუმრო "ციტადინი"

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ნინო ჩხოზაძე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა (თანაკოორდინატორი)
2. თამაზ ვაშაკიძე - საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკური განვითარების ცენტრი (თანაკოორდინატორი)
3. მურმან მარგველაშვილი - მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის
4. თამაზ მარსაგიშვილი - ასოციაცია ევროპული კვლევები საქართველოს ინოვაციური განვითარებისთვის
5. ვახტანგ ზარქუა - ენერგოეფექტურობის ფონდი
6. დათო ჭიპაშვილი - ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა"
7. ანზორ დუნდუა - საქართველოს ენერგო-რესურსების ეფექტურად გამოყენების ასოციაცია
8. თამაზ ვაშაკიძე - საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკური განვითარების ცენტრი
9. რევაზ ბურჭულაძე - ასოციაცია "ქალი და ბიზნესი"
10. ნანა მეფარიშვილი - ჰელსინკის მოქალაქეთა ასამბლეის საქართველოს ეროვნული კომიტეტი

## განსახილველი საკითხები

1. საპარლამენტო შეხვედრა (დღის წესრიგი და ა.შ.) - თანაკორდინატორები
2. ჯგუფის აქტივობები (ნარჩენები - გარემოს დაცვის სამინისტრო; პროგრამა „დურუჯი“) - თამაზ ვაშაკიძე
3. ენერგეტიკული სტრატეგიების შემუშავების მსოფლიო პრაქტიკა და საქართველოში ამ მხრივ ჩასატარებელი სამუშაო - მურმან მარგველაშვილი
4. ჯგუფის შემდგომი შეხვედრების დღის წესრიგი - თანაკორდინატორები

დამსწრეებმა პირველ საკითხად იმსჯელეს საპარლამენტო კომიტეტებთან შეხვედრის ორგანიზაციულ საკითხებზე, ფორმატასა და შეხვედრის დღის წესრიგზე. თანაკორდინატორის თქმით, ძალიან მნიშვნელოვანია მესამე სამუშაო ჯგუფი შეხვედეს საფინანსო-საბიუჯეტო, დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტებს. შეხვედრის ორგანიზება უნდა მოხერხდეს ივნისის ბოლომდე (სავარაუდოდ 13/14 ივნისი). დამსწრეები შეთანხმდნენ, რომ შეხვედრის ძირითადი მიზანი უნდა იყოს კომიტეტებისთვის მესამე სამუშაო ჯგუფის გაცნობა და აქტუალურ საკითხებზე მსჯელობა.

ჯგუფის წევრებმა მოკლედ მიმოიხილეს ის ძირითადი საკითხები, რაზეც გაიმართება მსჯელობა საპარლამენტო კომიტეტებთან შეხვედრის დროს. ”მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის” წარმომადგენელმა დამსწრეებს გააცნო თავისი პრეზენტაცია ენერგეტიკული სტრატეგიების შემუშავების მსოფლიო პრაქტიკისა და საქართველოში ამ მხრივ ჩასატარებელი სამუშაოების შესახებ. ორგანიზაციის წარმომადგენელმა ისაუბრა ენერგეტიკულ სექტორში არსებულ პრობლემებზე და ენერგეტიკული სტრატეგიის შემუშავების მნიშვნელობაზე, სხვადასხვა ქვეყნების მაგალითზე მიმოიხილა ის პროცესი, რომელიც გაიარეს ამ ქვეყნებმა ენერგეტიკული სტრატეგიების შესამუშავებლად. მისი თქმით, ენერგეტიკული პრობლემების მოსაგვარებლად საჭიროა ასრეზობდეს სტრატეგია არა როგორც დოკუმენტი, არამედ სტრატეგია როგორც პროცესი. იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოში არ არსებობს მსგავსი დოკუმენტის შექმნის არც მზაობა და არც შესაბამისი გამოცდილება, პირველი რიგში აუცილებელია მოხდეს ენერგეტიკული კუთხით ქვეყანაში არსებული სიტუაციის გაანალიზება, საშიშროებებისა და შესაძლებლობების განსაზღვრა, ძლიერი და სუსტი მხარეების წარმოჩენა და მხოლოდ ამის შემდეგ გადწყდეს თუ როგორი სტრატეგია სჭირდება ქვეყანას. საჭიროა რეალურად დაიწყოს ენერგეტიკული პოლიტიკის შექმნის პროცესი.

ენერგოეფექტურობის ფონდის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ენერგეტიკის სამინისტროში შექმნილია ვითარება, როცა ენერგეტიკული პოლიტიკის შემუშავებაში წამყვანი როლი ეკისრება არა სამინისტროს, არამედ საერთაშორისო დონორებს. აუცილებელია შეიქმნას უფრო

სერიოზული ბირთვი იმისთვის, რომ სამინისტრომ შეინარჩუნოს პოლიტიკური პროცესების მართვის სადავეები.

ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა"-ს წარმომადგენლის თქმით, მისი პრეზენტაციის მთავარი თემა იქნება არსებული ჰიდროელექტრო სადგურები და მათთან დაკავშირებული პრობლემები. ამ შემთხვევაში მწვავედ დგას სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების არარსებობის საკითხი, შესამუშავებელია ეკოლოგიური ხარჯის განსაზღვრის სავალდებულო მეთოდოლოგია. საჭიროა გარემოს დაცვის კომიტეტი ჩაერთოს ამ პროცესში და საკანონმდებლო დონეზე მომზადდეს მიმართულება იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა განისაზღვროს ეკოლოგიური ხარჯი. მეორე საკითხი ეხება ჰიდროელექტრო სადგურების მშენებლობის დაშვებას. საჭიროა განისაზღვროს ის ზონები, სადაც აიკრძალება სადგურების მშენებლობა.

ჰელსინკის მოქალაქეთა ასამბლეის საქართველოს ეროვნული კომიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აუცილებელია ყურადღება გამახვილდეს თბოენერგეტიკაზე, რომელსაც საკმაოდ მნიშვნელოვანი წილი აქვს ქვეყნის ენერგეტიკულ ბალანსში. თანაკოორდინატორის თქმით, ძალიან სერიოზული საკითხია ასევე წიაღისეულის მოპოვება. ენერგოეფექტურობის ფონდის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შეხვედრაზე ის ისაუბრებს ევროკავშირის ქვეყნებში მოქმედ ახალი სატარიფო სისტემებზე, რომელიც ჯერ არ მოქმედებს საქართველოში.

თანაკოორდინატორმა დამსწრეებს მიაწოდა ინფორმაცია ნარჩენების ექსპორტ-იმპორტის კანონპროექტთან დაკავშირებით. მისი თქმით, ენერგეტიკის სამინისტრო ითხოვს მძიმე ნაცრის შემოტანას ბეტონის წარმოებისთვის ჰიდროელექტრო სადგურების მშენებლობაში გამოსაყენებლად. აღნიშნა, რომ ამისთვის არსებობს სპეციალური ბეტონი და ევროპული დირექტივებით აკრძალულია მძიმე ნაცრისგან წარმოებული ბეტონის ჰიდროელექტრო სადგურების მშენებლობაში გამოყენება. თანაკოორდინატორის ინფორმაციით, ეს კანონპროექტი უკვე შევიდა პარლამენტში და განმარტებით ბარათში აღნიშნულია, რომ კანონპროექტის ავტორი და ინიციატორი არის ენერგეტიკის სამინისტრო.

თანაკოორდინატორმა დამსწრეებს აცნობა, რომ პლატფორმის პროექტით გათვალისწინებულია მონიტორინგის ანგარიშების მომზადება. თითო ჯგუფი ამზადებს ანგარიშს 5 თემაზე ENP ან EaP მიმართულებებიდან. სასურველია არჩეულ იქნეს კონკრეტული საკითხები და არა ზოგადი თემები. ბიუჯეტით გათვალისწინებულია ჰონორარები იმ ექსპერტებისთვის, რომლებიც იმუშავენ ანგარიშზე (თითო თემაზე ჯგუფიდან 2-დან 5 ექსპერტამდე). ექსპერტების შერჩევა მოხდება ჯგუფების შიგნით. ანგარიშები უნდა მომზადდეს მიმდინარე წლის ნოემბრამდე. ჯგუფის წევრები შეთანხმდნენ, რომ კვირის ბოლომდე მსურველები თანაკოორდინატორებს წარუდგენენ იმ საკითხებს, რაზეც მოამზადებენ ანგარიშებს. თანაკოორდინატორმა აღნიშნა, რომ ამავე პროექტის ფარგლებში მზადდება საინფორმაციო ბიულეტენი, რომელშიც აისახება ჯგუფების და წევრი ორგანიზაციების აქტივობები, ითარგმნება ინგლისურად და გავრცელდება ევროკავშირში. დაიტერესებულ ორგანიზაციებს შეუძლიათ მიმართონ სამდივნოს.

ჰელსინკის მოქალაქეთა ასამბლეის საქართველოს ეროვნული კომიტეტის წარმომადგენლის თქმით, სექტემბერში საქართველოში გაიმართება ენერგოეფექტურობის დიდი სამიტი,

რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ენერგეტიკის მინისტრები 30 ქვეყნიდან. სამიტის ორგანიზატორია ეკონომიკის სამინისტრო. ორგანიზაციის წარმომადგენლის აზრით, კარგი იქნება თუ მესამე სამუშაო ჯგუფი შეძლებს სამიტში მონაწილეობის მიღებას. გადაწყდა, რომ თანაკოორდინატორები ამ საკითხზე მიმართავენ სამინისტროს.

შეხვედრის ბოლოს თანაკოორდინატორმა დამსწრეებს აცნობა, რომ ჯგუფის ერთ-ერთი წევრისგან შემოვიდა თხოვნა გეგმიური შეხვედრების თარიღის შეცვლასთან დაკავშირებით. გადაწყდა, რომ ივნისის შეხვედრა თვის ბოლო ოთხშაბათის ნაცვლად გაიმართება პარასკევს. შეხვედრაში მონაწილეობას მიიღებენ გარემოს დაცვის და ენერგეტიკის სამინისტროს წარმომადგენლები, რომლებიც ისაუბრებენ ასოცირების ხელშეკრულების ძირითად ასპექტებსა და იმ ვალდებულებებზე, რაც სახელმწიფო უწყებებმა აიღეს თავის თავზე.

ორსაათიანი განხილვის შემდეგ ჯგუფის შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: სალომე ბულია